დღგ-ის ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების რეფორმის შედეგები და გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

ბესიკ ხიჯაკაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი : რევაზ გერაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბესიკ ხიჯაკაძე

18.06. 2022

აბსტრაქტი

დამატებითი ღირებულების გადასახადი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და კომპლექსური გადასახადია საქართველოში მოქმედ გადასახადებს შორის. ხოლო, ზედმეტად გადახდილი დღგ-ს თანხის დაბრუნება კიდევ უფრო რთული და შეიძლება ითქვას ბიზნესისთვის დაუძლეველი საკითხი იყო 2019 წლამდე არსებული რეგულაციების გათვალისწინებით. წინამდებარე ნაშრომში განხილულია სწორედ 2019 წელს დანერგილი დღგ-ის ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების რეფორმა. აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიზანი ანუ ძირითადი საკვლევი თემა იყო, დღგ-ს ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების რეფორმის შედეგების გაცნობა და გაანალიზება, მათ შორის მისი შედეგების გავლენის შესწავლა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ნაშრომის ძირითადი საკვლევი საკითხები იყო, როგორც ამ რეფორმის სტატისტიკური შედეგების გაანალიზება, აგრეთვე მისი გავლენის შესწავლა ბიზნესგარემოსა და მთლიანად საქართველოს ეკონომიკაზე.

კვლევის მიზნის მისაღწევად ნაშრომში განხილულია, როგორც სხვადასხვა სამეცნიერო ბაზებში არსებული სამეცნიერო წყაროები, ასევე ჩატარებულია კვლევა რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. ხოლო მონაცემთა შეგროვება მოხდა მისი მთავარი ინსტრუმენტის მასობრივი გამოკითხვის საშუალებით, სპეციალურად შერჩეულ მიზნობრივ აუდიტორიასთან. როგორც სამიზნე აუდიტორიის შერჩევისას იყო ჩაფიქრებული რესპოდენტთა უმრავლესობა აღმოჩნდა კვალიფიციური საკვლევი საკითხების მიმართულებით, რამაც კვლევა უფრო ვალიდური გახადა. გამოკითხულთა უმრავლესობა კვლევის შედეგებიდან გამომდინარე თანხმდება, რომ დღგ-ის ავტომატური დაბრუნების რეფორმა ნამდვილად კარგად მუშაობს და კარგი შედეგებიც

აქვს, რაც პირინციპში ნაწილობრივ მიმოხილული ლიტერატურის საფუძველზეც დასტურდება. აგრეთვე რესპოდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ეს რეფორმა ხელს უწყობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ქვეყანაში ინვესტიციების ზრდას, გადასახადის გადამხდელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას და რაც მთავარია საბოლოო ჯამში დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაზე.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება, რომლითაც პასუხი გაეცა საკვლევ საკითხებს და დადასტურდა ნაშრომში გამოთქმული ჰიპოთეზები, რის საფუძველზეც შეგვიძლია ნაშრომის მთავარი მიზანიც მიღწეულად ჩავთვალოთ. აგრეთვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული კვლევა ამ მიმართულებით საქართველოში ერთ-ერთი პირველი აკადემური ნაშრომია. შესაბამისად, მისი მსვლელობის დროს გამოიკვეთა პრობლემატური საკითხები, რაზეც საუბარია დასკვნა-რეკომენდაციების ნაწილში და სასურევლია ისინი გათვალისწინებული იქნეს როგორც ამ საკითხის შემდგომი მკვლევარების აგრეთვე საგადასახადო ორგანოების მიერ. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში კიდევ უფრო დადებითად აისახება ყველა დაინტერესებულ მხარეზე.

Abstract

Value-added tax is one of the most important and complex taxes among the existing taxes in Georgia. Refunding overpaid VAT was an even more difficult and insurmountable challenge for businesses under the 2019 regulations. This paper discusses the reform of automatic refund of VAT surplus introduced in 2019. The aim of the research conducted within the framework of that paper was to get familiar with and analyze the results of the automatized VAT refund reform, Including analyzing the impact of its outcomes on the country's economic development. Therefore, the main research issues of the paper were the analysis of the statistical results of this reform, as well as the study of its impact on the business environment and the Georgian economy as a whole.

To achieve the purpose of the research, the paper discusses the scientific sources available in various scientific databases, and it also represents my research results, conducted using quantitative research methods. A mass audience survey approach was the main method used for data collection. The properly selected, well-qualified audience made the study more valid. The majority of respondents based on the survey results agree that the VAT auto refund reform works really well and has good results as well, which is also confirmed based on partially reviewed literature. Also, the majority of respondents think that this reform helps improve the business environment, increases investment in the country, increases the liability of taxpayers, and most importantly ultimately has a positive impact on the country's economic progress.

Finally, we can say that the research revealed several relevant circumstances, which answered the research questions, and the hypotheses expressed in the paper were supported. based on which we can consider that the main goal of the paper is reached.

It is also noteworthy that this study is one of the first academic papers in this field in Georgia. Accordingly, problematic issues have been identified during the research, which, in details, is discussed in the conclusion and recommendation part of the paper. The primary results

and recommendatios could be used by other researchers and by the tax authorities too. Overall, the research ultimately have a positive impact on all stakeholders.